

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ს ხ დ ო მ ა

2018 წლის 26 მარტი, 11:00 საათი

დღის წესრიგი

1. გადაწყვეტილების პროექტი - „თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობის და მშენებლობასთან დაკავშირებული დეტალური საინჟინრო გადაწყვეტილებების (პროექტის) მომზადების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის ცალკეული დავალებების მიცემის შესახებ“

- პროექტი ითვალისწინებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებით საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის ცალკეული დავალებების მიცემას

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე
--------------	--

2. კანონპროექტი - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

- პროექტი ითვალისწინებს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ კანდიდატის მიერ განხილულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებას.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ანა დოლიძე
--------------	--

3. კანონპროექტი - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

- პროექტი ითვალისწინებს სააპელაციო/რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეებისა და პალატის/კოლეგიის თავმჯდომარეების არჩევის ახალ წესს.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ანა დოლიძე
--------------	--

4. გადაწყვეტილების პროექტი - „2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საორგანიზაციო წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის №1/260 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტი ითვალისწინებს ცვლილების განხორციელებას სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში.

მომხსენებელი	➢ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ლევან გზირიშვილი
--------------	---

5. ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმა 2018 – 2019

- განიხილება ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, რომელიც ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელ ვალდებულებებს შეეხება.

მომხსენებელი	➢ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნაზი ჯანეზაშვილი
--------------	---

6. კანონპროექტი - „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

- პროექტი ითვალისწინებს ცვლილებებს „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ კანონპროექტიდან გამომდინარე. ასევე, არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პროცესუალური უფლებების გაფართოებას, არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის პროცესში მოსამართლის როლისა და ჩართულობის გაზრდას.

მომხსენებელი	➢ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	---

7. კანონპროექტები - „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

- პროექტი ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის და ოჯახური ძალადობის (ძალადობრივი ხასიათის) დანაშაულებისთვის დამატებით სასჯელად იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის გამოყენებას.

- პროექტი ითვალისწინებს სსსკ 199-ე მუხლში ცვლილებებს, კერძოდ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ჩადენის ბრალდებით დევნის დაწყების შემთხვევაში, სასამართლო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან/და ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების დაკისრების მიუხედავად, პრიორიტეტულად განიხილავს პირისათვის იარაღის ჩამორთმევის ვალდებულების ან/და გარკვეულ ადგილზე შესვლის და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვის დაკისრების საკითხს.

მომხსენებელი	➢ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	---

8. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის თაობაზე

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე